ერთი დღე საგუშაგოზე ალლაჰის გზაზე — სჯობს ამ ქვეყანას და ყველაფერს, რაც მასშია

გადმოცემულია საჰლ იბნ სა'დ ალ-საა'იდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ერთი დღე საგუშაგოზე ალლაჰის გზაზე — სჯობს ამ ქვეყანას და ყველაფერს, რაც მასშია. სამოთხეში ერთი ადგილიც კი, რომელიც ტოლია რომელიმე თქვენთაგანის ჯოხის სიგრძისა, სჯობს ამ ქვეყანას და ყველაფერს, რაც მასშია. დილა ან საღამო, რომელიც მონამ ალლაჰის გზაზე გაატარა — სჯობს ამ ქვეყანას და ყველაფერს, რაც მასშია».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა, რომ ერთი დღით რიბატი/გუშაგობა მუსლიმებსა და ურწმუნოებს შორის, მუსლიმების დასაცავად, მხოლოდ ალლაჰის გულისთვის, ამ ქვეყანასა და ყველაფერს, რაც მასშია, სჯობს. სამოთხეში ადგილიც კი, რომელიც ტოლფასია მათრახის სიგრძისა, რომელიც იხმარება ალლაჰის გზაზე ჯიჰადის დროს, ამ ქვეყანასა და მასში არსებულ ყველა საგანს სჯობს. ჯილდო და საზღაური ერთი დილისთვის, რომელიც ალლაჰის გზაზე გაატარა ადამიანმა — დილის დაწყებიდან შუადღემდე — ან ერთი საღამოსთვის, შუადღის შემდეგ ღამემდე, ამ ქვეყანასა და ყველაფერს, რაც მასშია, სჯობს.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/2967